

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო
უნივერსიტეტი“

საგანამართლებლო პროგრამის აღწერილობა
(კატალოგი)

პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში

პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში

სწავლების ენა: ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით

პროგრამის ხელმძღვანელი: ლევან გოგოლაძე

საკონტაქტო ინფორმაცია:

მიცკევიჩის ქ. 29. თბილისი, 0194 საქართველო

ტელ: + 995 32 2 444 864

ელ. ფოსტა: uni@bog.ge

ვებგვერდი: www.boedu.ge ; www.bog.edu.ge

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი ფინანსისტები, რომლებიც ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით შეძლებენ ეფექტურად, ეფექტიანად და ხარისხიანად განახორციელონ მმართველობითი ფუნქციები. აღნიშნულის მიღწევის მიზნით კურსდამთავრებულებს ექნებათ:

- კონცეპტუალური, სისტემური და სტრატეგიული ხედვის, მიზნების ჩამოყალიბების უნარი;
- სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ერთეულებისათვის გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების ჩამოყალიბების, განხორციელების გზების დადგენისა და კონტროლის უნარი;
- ღრმა თეორიული ცოდნა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი საფინანსო დარგის მიმართულებებში, როგორებიცაა: კორპორაციული ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი, ბიუჯეტირება და კონტროლი, ინვესტიციების მართვა, ფინანსური კონტროლი და შეფასება;
- კვლევითი პროექტების განხორციელების უნარი;
- ადამიანური რესურსის მართვისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების ეფექტურად წარმართვის უნარი;
- კონკურენტულ, დინამიურ და სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტაციის, მიზნის ჩამოყალიბებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- მმართველობითი ფუნქციებისა და როლების, როგორებიცაა: დაგეგმვა, ორგანიზება, ლიდერობა, კონტროლი, ინფორმაციის მართვა, გადაწყვეტილების მიღება, განხორციელებისათვის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენების უნარი;
- დარგობრივი და სხვა სფეროების წარმომადგენლებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

პროგრამაზე დაშვება

1. პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც წარმატებით გაივლის საერთო სამაგისტრო გამოცდას და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდას;
2. უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე ან საქართველოს მოქალაქე, რომელიც არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საზღვარგარეთ და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნებს;
3. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სარგებლობს მობილობის უფლებით და წარმატებით გაივლის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებს;
4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა, რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი სერტიფიკატით ან ინგლისური ენის გამოცდის შედეგებით.

სწავლების შემდგომი საფეხური

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სწავლების შემდეგ საფეხურზე დოქტორანტურაში.

დასაქმების სფერო

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისადმი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით, ჩატარდა საჯარო და კერძო სექტორის შრომის ბაზრის კვლევა. კვლევამ გამოავლინა აღნიშნული სპეციალობის კურსდამთავრებულთა დასაქმების ფართო სპექტრი:

- ფინანსური დირექტორი;
- აუდიტისა და ფინანსური მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;
- ბიუჯეტის მართვის სამმართველოსა და დაგეგმვის უფროსი;
- პროექტის ფინანსური მენეჯერი;
- კორპორაციული საბანკო მომსახურების დეპარტამენტი – ბანკირი;
- საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტი – რისკების მენეჯერი;
- ფინანსური დეპარტამენტი – ანალიტიკოსი, ფინანსური მენეჯერი;
- დაკრედიტების სამსახური – ექსპერტი;
- შიდააუდიტის დეპარტამენტი – ანალიტიკოსი, აუდიტორი;
- ინვესტორებთან ურთიერთობისა და ფინანსური რესურსების მოზიდვის დეპარტამენტი – ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;
- ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტი – მენეჯერი;
- ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დეპარტამენტი – ოფიცერი.

ასევე დადგინდა ის მოთხოვნები, რომლებიც ზემოაღნიშნული პოზიციების დასაკავებლად არის საჭირო და რაც საფუძვლად დაედო პროგრამის სწავლის შედეგებს. შესაბამისად, პროგრამის კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება სპეციალობის სიღრმისეული ცოდნა, სხვადასხვა სფეროს ცოდნის ინტეგრაციისა და კვლევების ჩატარების უნარი, მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით, გუნდური მუშაობისა და გუნდის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე პასუხისმგებლობა, ახალი სტრატეგიების დანერგვის უნარი, წარმატებით შეძლებს დასაქმებას როგორც ზემოთ ჩამოთვლილ პოზიციებზე, ასევე შესაბამისი დეპარტამენტებისა და სამსახურების ხელმძღვანელებად.

სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე განისაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგები:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – სფეროს შემდეგი საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა:

- მოთხოვნისა და მიწოდების განსაზღვრისა და საფასო ცვლილების კანონები, არასაფასო ფაქტორებით გამოწვეული წონასწორული მდგომარეობის ცვლილებები და მათი შესაძლო შედეგები; მოთხოვნისა და მიწოდების ელასტიკურობის კანონზომიერებები და სპეციფიკა; ელასტიკურობის თეორიის პრაქტიკული მნიშვნელობა; მომხმარებელთა ქცევის ფაქტორები და თავისებურებები, მომხმარებლის ოპტიმალური არჩევანისა და გამოხატული უპირატესობის თეორია; რისკები და მიკროეკონომიკაში რისკის გარემოში გადაწყვეტილებების მიღების ტექნიკა; წარმოებისა და დანახარჯების თეორიები, მათი ურთიერთკავშირი და რეალობასთან მიმართება; სახელმწიფო პოლიტიკით გამოწვეული სარგებლისა და ზარალის შეფასების მეთოდები;
- ფინანსური ანგარიშგების შედეგის მეთოდოლოგია. საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების დღევანდელი მოდელები, მათ შორის განსხვავება და სამომავლო განვითარების პერსპექტივები. საბაზრო, საპროცენტო, სავალუტო, საკრედიტო, საოპერაციო, სადაზღვევო - გაზომვის, მიტიგაციის და კონტროლის მექანიზმები. ფინანსური ბაზრების მუშაობის სტრუქტურა, ფინანსურ ბაზრებზე არსებული ინსტრუმენტები, მათი ანალიზი, მიზიდველი და რისკიანი მახასიათებლები, გამოყენების პირობები და შეფასების მექანიზმები. ფინანსური ინსტიტუტების ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა და შესაბამისი საინვესტიციო და სხვადასხვა ფინანსური ტიპის გადაწყვეტილების მიღება. ასევე, ფინანსურ ბაზრებზე მოქმედი თანამედროვე ფინანსური ინსტიტუტების შინაარსი/დანიშნულება, აგებულება და განვითარების ტენდენციები;
- ბუღალტერული აღრიცხვა და გატარებები. ინვესტიციის ტიპების, აქციებისა და ვალდებულებების ტიპების, ტრანზაქციის ეტაპების, სასაქონლო მარაგების აღრიცხვის მეთოდების, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასების კოეფიციენტების, ფიქსირებული აქტივების ცვეთის აღრიცხვის მეთოდების, ნაღდი ფულის კონტროლის მეთოდების, ფინანსური ანგარიშების, უწყისების მომზადების მეთოდები და მათი გამოყენება;
- ეკონომიკაში საბანკო დაწესებულების როლის (როგორც მიკრო, ასევე მაკრო), მონეტარულ თეორიის, მომხმარებლებთან და საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებული საკითხების, რეგულაციების, წესების და საკითხების სისტემური ცოდნა. ასევე: საბანკო სფეროს მარეგულირებელი გარემო და რეგულირების ინსტრუმენტები, სხვადასხვა წყაროდან მიღებული შემოსავლებისა და ხარჯვის მართვა, ეკონომიკური ღირებულების გაანგარიშება და ლიკვიდურობის დაგენა, საბანკო საქმიანობის ანალიზი გლობალურ ასპექტში; საინვესტიციო პორტფელის შეფასება და მისი მართვის თეორიული და პრაქტიკული მხარე. ფულადი ნაკადების დისკონტირება და საინვესტიციო შესაძლებლობების ალტერნატიული მოდელები;
- ორგანიზაციული თეორია და მისი თავისებურებები, სამუშაოს კმაყოფილებისა და განწყობის თეორია, გადაწყვეტილების მიღების პროცესი და მათზე მოქმედი სიტუაციური ფაქტორები, გუნდის ფორმირება და მართვის წესები, ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი ფორმირების წესები, კონფლიქტების ტიპები და მათი მართვა, მოლაპარაკების ტექნიკა. ორგანიზაციული კულტურა, პიროვნული თვისებები და ღირებულებები ორგანიზაციაში და აღნიშნული ღირებულებების ზეგავლენა ორგანიზაციაზე;

- მარკეტინგული სტრატეგიის პროცესის ფორმირება, განხორციელება და კონკურენტული პოზიციონირება. სტრატეგიის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების გასაზღვრა, მიღებული შედეგების შეფასება და პროცესის მონიტორინგი. კონკურენტული უპირატესობის იდენტიფიცირება და შენარჩუნება. სისტემური და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება მარკეტინგულ მიქსთან, ფასწარმოქმნასთან, ბრენდირებასთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში.;
- კვლევის მეთოდები (სტატისტიკური ანალიზი, წრფივი ოპტიმიზაციის ძირითადი საკითხები, სიმულაციური ანალიზი, კვლევის ტექნიკა, მონაცემთა შეგროვების, დახარისხებისა და ანალიზის მეთოდები, მენეჯერული და ფინანსური მოდელირების გამოყენება, აკადემიური წერის ძირითადი ცნებები და ტერმინები, წერითი ნაშრომების ფორმები და სახეები და ა.შ.);
- ბიზნესის წარმოების სამართლებრივ გარემოს აქტუალური საკითხები, სამეწარმეო ურთიერთობების მარეგულირებელი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი აქტები, კომპანიების შექმნის და გარდაქმნის წესი, კონტრაქტის არსი, დადების წესი და სახეები, ვალდებულების შესრულების და შესრულების უზრუნველყოფის სპეციფიკა, საგადასახადო ურთიერთობები, შრომითი და სავაჭრო ურთიერთობები, გაკოტრების პროცედურის სპეციფიკა.
- წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის მეთოდები;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- მიკროეკონომიკური პროცესების პროგნოზირება, ელასტიკურობის კოეფიციენტის, წარმოების დანახარჯების, მომხმარებლისა და მწარმოებლის ნამეტებისა და სხვა მიკროეკონომიკური პარამეტრების გაანგარიშება;
- ბიზნესგარემოს ანალიზი, ინდუსტრიის, კონკურენტებისა და მომხმარებლების ანალიზი;
- ფინანსური ანგარიშებისა და უწყისების ანალიზი და შეფასება, წარმოებისა და მომსახურე კომპანიის შიდაფინანსური ინფორმაციის გამოყენება ხარჯთაღრიცხვის, ბიუჯეტირებისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის, კომპანიის ფინანსური ღირებულების შეფასება, კომპანიის ფასიანი ქაღალდების ფასის ზრდა, დივიდენდების პოლიტიკა და სასესხო რესურსების მართვა, ფინანსური ბაზრების ანალიზი, საკრედიტო-საინვესტიციო პროექტების სიღრმისეული ანალიზი, საინვესტიციო პორტფელის მართვა, კომპანიის შერწყმებისა და შესყიდვების ანალიზი, საინვესტიციო პროექტების სწრაფი დამუშავება, ფინანსური ანგარიშგება, რისკების მართვა, კომპანიის ფინანსური რესურსების სწორად წარმართვა;
- სამუშაოს ორგანიზება და დაგეგმვა, ოპერაციული პრობლემების იდენტიფიცირება, პრობლემების მიზეზების სადიაგნოსტიკო მეთოდების გამოყენება, გუნდური მუშაობა, გუნდის მართვა, ორგანიზაციის მართვა, სამუშაო გეგმის შედგენა, ქმედებების ლოგიკური დაჯგუფება და მათი ურთიერთკავშირი (ლოგიკური დიაგრამები), კალენდარული გეგმის შედგენა, პროექტის რისკების ანალიზი და მართვა;
- მარკეტინგული სტრატეგიის ფორმირება, ბაზრის სეგმენტაცია, ფასწარმოქმნის სტრატეგიების განსაზღვრა;

- კვლევის მეთოდების შერჩევა და კვლევის ჩატარება, მენეჯერული და ფინანსური მოდელების გამოყენება, მონაცემთა ანალიზი და კვლევა, სისტემის კვლევა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება;
- ბიზნესის სფეროში წამოჭრილი სამართლებრივი საკითხების გაანალიზებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;
- ბიზნესში დამქირავებელთან ეფექტიანი კომუნიკაცია, პირისპირ საქმიანი კომუნიკაციისას კონტექსტუალური კრიტიკული კომუნიკაცია;

გ) დასკვნის უნარი

- ბიზნესის გარემოს შეფასება და ანალიზი;
- მოვლენების პრაქტიკული შეფასების საფუძველზე ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება;
- ფინანსური მდგომარეობის შეფასების კოეფიციენტებზე დაყრდნობით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, საინვესტიციო და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება, კაპიტალის სტრუქტურირების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, ორგანიზაციის რისკის მადის შესაფერისი ბიზნესგადაწყვეტილებები, კომპანიის ფინანსური სტრატეგიული მიმართულებების, ორგანიზაციის ფინანსური ბიუჯეტირების დაგეგმვა, შექმნა, მართვა და კონტროლი;
- ორგანიზაციული სისტემის კრიტიკული შეფასება და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება, რაც ეხმარება მას შეიმუშაოს სისტემის გაუმჯობესების გზები და ახალი მეთოდები, პროექტების სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტიდან ოპტიმალურის შერჩევა;
- სტატისტიკური შეფასებების საფუძველზე შესაბამისი დასკვნებისა და პროგნოზების გაკეთება და დასაბუთება, ერთმანეთისაგან რეალური და არარეალური მტკიცებულებების გარჩევა, ლოგიკური უსწორობების აღმოჩენა და გასწორება, ნაშრომის შეჯამება;

დ) კომუნიკაციის უნარი – დარგობრივი ტერმინოლოგიის ცოდნა და გამოყენება; სხვადასხვა სახის მონაცემთა წყაროებთან მუშაობა, სხვადასხვა სახის სტატისტიკური კითხვარების დიზაინი და მონაცემების შეგროვება / გავრცელება, სტატისტიკური ცხრილების, გრაფიკების, მოდელების ინტერპრეტაცია სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, დისკუსია მონაცემებისა და მოდელების სხვადასხვა სახის შესახებ, კორპორაციული თუ პირადი ბიზნესამოცანების მისაღწევად ეფექტური ტაქტიკების განვითარება, ეფექტურად წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია, ბიზნესკომუნიკაციის ჭრილში კრიტიკული და კრეატიული აზროვნება, ლიტერატურის მოძიება და სწორად გამოყენება;

ე) სწავლის უნარი – საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა, გაცნობიერება და დამოუკიდებლად მუშაობა, საკუთარი მიღწევების ობიექტურად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების სწორად განსაზღვრა, საჭირო ლიტერატურის, სამეცნიერო სტატიების, სასწავლო „ქეისების“ დამოუკიდებლად მოძიება და მათი ანალიზი, საკუთარი დროის რაციონალური განაწილება დასახული მიზნების მისაღწევად, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით კონკრეტული დისციპლინის ასათვისებლად საჭირო რესურსების დადგენა, კვლევაზე დაყრდნობილი მაღალპროფესიული პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა;

ვ) **ღირებულებები** – ორგანიზაციული კულტურისა და ღირებულებების გათავისება: პასუხისმგებლობა, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ორგანიზებულობა, პუნქტუალობა, კონფიდენციალურობა და ინფორმაციის შენახვა; კვლევის წარმოების დროს ეთიკური ნორმების დაცვა; საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების ცოდნა და დაცვა.

სასწავლო კომპონენტები

სასწავლო კურსები დაყოფილია 2 ჯგუფად: ძირითადი და სპეციალობის. ასევე პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო პრაქტიკა და სამაგისტრო თეზისი. თითოეული ნაწილის დატვირთვა შესაბამისად შეადგენს:

- ძირითადი – 66 ECTS კრედიტი;
- სპეციალობის – 27 ECTS კრედიტი;
- სასწავლო პრაქტიკა – 7 ECTS კრედიტი;
- სამაგისტრო თეზისი – 20 ECTS კრედიტი.

სასწავლო გეგმა

#	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	წინარეკვიზიტი	კრედიტი (ECTS)	საათობრივი დატვირთვა (მათ შორის, საკონტაქტო)	I			II		
						I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი
ძირითადი სასწავლო კურსები											
1	B1	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	-	6	150 (42)	6					
2	B2	ეკონომიკური ანალიზი მენეჯერთათვის	-	6	150 (42)	6					
3	B3	აკადემიური წერა	-	3	75 (21)	3					
4	B4	ბიზნესის სამართლებრივი გარემო	-	3	75 (21)	3					
5	B5	სტატისტიკური ანალიზი ბიზნესისათვის	-	6	150 (42)		6				
6	B6	მენეჯერული აღრიცხვა	B1	6	150 (42)		6				
7	B7	ორგანიზაციული ქცევა	-	3	75 (21)		3				
8	B8	სტრატეგიული	-	3	75 (21)		3				

		ბიზნესკომუნიკაცია									
9	B9	ოპერაციათა მენეჯმენტი	B5; B7	6	150 (42)			6			
10	B10	კორპორაციული ფინანსები	B1	6	150 (42)			6			
11	B11	პროექტების მართვა	-	3	75 (21)			3			
12	B12	მონაცემთა ანალიზი და მოდელირება	B5; B2	3	75 (21)			3			
13	B13	კვლევის მეთოდოლოგია	B5	6	150 (42)				6		
14	B14	მარკეტინგული სტრატეგია და ანალიზი	-	3	75 (21)			3			
15	B15	სტრატეგიული მენეჯმენტი	B2; B4; B7; B9; B14	3	75 (21)						3
სპეციალობის სასწავლო კურსები											
1	S1	ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები	B10	6	150 (42)				6		
2	S2	საინვესტიციო გადაწყვეტილებები	B10	3	75 (21)				3		
3	S3	ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი	B1; B10	3	75 (21)				3		
4	S4	ფინანსური რისკების მართვა	B10	6	150 (42)					6	
5	S5	ფინანსური დაგეგმვა და ბიუჯეტირება	B1; B10; B12	6	150 (42)					6	
6	S6	საბანკო საქმე	B1; B10	3	75 (21)					3	
P	სასწავლო პრაქტიკა*			7	175 (150)						7
T	სამაგისტრო თეზისი*			20	500 (51)						20
სულ						18	18	21	18	18	27
							57			63	
								120			

*შენიშვნა: სასწავლო პრაქტიკაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც მიღებული აქვს დადებითი შეფასება ძირითად და სპეციალობის სასწავლო კურსებში.

*შენიშვნა: სამაგისტრო თეზისზე მუშაობის დაწყება შეუძლია სტუდენტს, რომელსაც მიღებული აქვს დადებითი შეფასება ძირითად და სპეციალობის სასწავლო კურსებში.

სწავლების მეთოდოლოგია

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე თითოეული სასწავლო კურსისთვის შერჩეულია შესაბამისი სწავლების მეთოდები, შესასწავლი მასალის შინაარსისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით. სასწავლო კურსის სილაბუსები იძლევა დეტალურ ინფორმაციას გამოყენებული სწავლების მეთოდების შესახებ. ზოგადად, სწავლების არსებული მეთოდებიდან ძირითადი დატვირთვა მოდის: ლექცია, პრაქტიკული, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დამოუკიდებელი სამუშაო, პროექტზე მუშაობა, დისკუსიებზე და ა.შ.

ასევე სილაბუსებით დადგენილია ის აქტივობები, რომელსაც სტუდენტი უნდა ახორციელებდეს სწავლების პროცესში, რათა მიღწეულ იქნას პროგრამით დადგენილი სწავლების შედეგები. მაგ., რელევანტური მასალის მოძიება (ელექტრონული და ბეჭდური), ლიტერატურის მიმოხილვა, წაკითხული მასალის ანალიზი და შეჯამება, პრობლემის განსაზღვრა და გადაჭრა, მზარდი სირთულის მცირე მოცულობის კვლევის წარმოება, პრობლემის გადაჭრისას ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაციის მომზადება და ჩატარება (ინდივიდუალურად და ჯგუფურად), სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა.

შეფასების სისტემა

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;
- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

პროგრამით დადგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია შეფასების მეთოდი და შეფასების მაქსიმალური ქულა. ასევე უნივერსიტეტის ნორმატიული დოკუმენტებით განისაზღვრება პედაგოგის ვალდებულება შეფასების მეთოდის შესაბამისად სტუდენტს წინსწრებით მიაწოდოს ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმების შესახებ და განუმარტოს მიღებული ქულის ფორმირების გზა.

ადამიანური რესურსი

პროგრამას ახორციელებს კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პერსონალი შერჩეულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნივერსიტეტის „აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების დებულების“ შესაბამისად.

მატერიალური რესურსი

პროგრამის სათანადოდ და ეფექტურად განხორციელებას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალური რესურსით. უნივერსიტეტის მფლობელობაშია: თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა-ნაგებობა, ინვენტარი, ტექნიკა, ბიბლიოთეკა და სხვ. ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის.

პრაქტიკის ობიექტი

სასწავლო პრაქტიკის მიზანია სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ გარემოში ადაპტაცია, განვითარება და განმტკიცება. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტისათვის მარტივად და სწრაფად დასაქმების შესაძლებლობის მიცემა. სტუდენტის მიერ კონკრეტული საქმიანობის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების შექმნა და უშუალოდ სამომავლო სამსახურებრივი ვალდებულების აღებამდე არჩევანის შესაძლებლობების გათავისება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტს“ სხვადასხვა კომპანიასთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები თანამშრომლობის შესახებ.

